

ოქმი N 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ღია კარის სხდომის“

2019 წელი. 16 აპრილი

11⁰⁰-14⁰⁰ საათი

ქ.ოზურგეთი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გ.ღურჯუმელიძე, საკრებულოს ბიუროს წევრები: ე.გორდელაძე, გ.ჩავლეშვილი, შ.გოგბერიძე, ბ.დოლიძე, გ.თოიძე, გ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე, გ.კილაძე, ლ.ბიგვავა, გ.ჩაგანავა, ლ.საჯაია, ტ.აროშიძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

ამომრჩეველთა მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ მოკლედ ისაუბრა „ღია კარის სხდომის“ ჩატარების მნიშვნელობასა და პროცედურებზე, აღნიშნა, რომ სხდომა მოწვეული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის N123 მუხლით განსაზღვრული პროცედურული ნორმების დაცვით, მოსმენას ესწრებიან საკრებულოს თანამდებობის პირები და საკრებულოს წევრები, უნდა ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი და მერიის თანამდებობის პირებიც, საკრებულოს აპარატი შეადგენს „ღია კარის სხდომის“ ოქმს, აღრიცხავს საკითხებს და საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას წარუდგენს გადაწყვეტილების მისაღებად -რომელი საკითხი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიას და რომელი მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს აპარატი აკონტროლებს მოქალაქის მიერ დასმული საკითხის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში გადაწყვეტას, წინასწარ მადლობა გადაუხადა სხდომის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა, რომლის შემდეგ დაიწყო რეგისტრაციის შესაბამისად შედგენილი გამომსვლელთა სიით ამომრჩეველთა მოსმენა:

1. ბოხვაურის ადმინისტრაციული ერთეული-ზურაბ გობრონიძე-დააყენა საკითხი სოფელ ბოხვაურის ცენტრალური გზის რეაბილიტაციის შესახებ.
2. ქ.ოზურგეთის ადმინისტრაციული ერთეული, კოსტავას ქუჩის 1 ჩიხი-ნანა კოსტავა, ტარიელ ჯინჭარაძე-მოითხოვეს გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.
3. სილაურის ადმინისტრაციული ერთეული-გიზო გოგუაძე-ითხოვა ყოფილი მე-5 ბრიგადის ტერიტორიის გზაზე ბეტონის გზის დაგება.
4. ქ.ოზურგეთის ადმინისტრაციული ერთეული, ნ.დუმბაძის ქუჩა, მეორე შესახვევი-მარინა მახარაძე-ითხოვა გზის მოასფალტება.
5. სილაურის ადმინისტრაციული ერთეული-ელგუჯა ძირკვაძე--ითხოვა საამშენებლო მასალებით დახმარება საცხოვრებელი სახლისათვის.
6. ჭანიეთის ადმინისტრაციული ერთეული-გულნარა შავიშვილი-ითხოვა დამწვარი საცხოვრებელი სახლის აღსადგენად საამშენებლო მასალებით დახმარება.
7. ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეული-ლიანა ჩხარტიშვილი-ითხოვს მოხსნილი სოციალური დახმარების აღდგენას და ინვალიდი შვილისთვის ელექტრო ეტლს.
8. ჭანიეთის ადმინისტრაციული ერთეული-ოთარ ლომჯარია-ითხოვს ურეკსა და ლეკიანში მიწის ნაკვეთებს და შესყიდული და საფასურის ნაწილის გადაუხდელობის გამო წართმეული საცხოვრებლის დაბრუნებაში დახმარებას.
9. ბაილეთის ადმინისტრაციული ერთეული-მანანა ტატუნაშვილი-ითხოვს შვილის ოპერაციის საფასურის გადახდას.
10. დვაბზუს ადმინისტრაციული ერთეული-გენადი ჭელიძე-ითხოვს უბანში გარე განათების მოწყობას.
11. ნაგომრის ადმინისტრაციული ერთეული-რუსუდან იოსელიანი-ითხოვს სოციალური დახმარების აღდგენას და საცხოვრებელი სახლის შესყიდვაში დახმარებას.
12. გურიანთის ადმინისტრაციული ერთეული-თამარ სადრაძე, ნინა ბარამიძე-მათ საცხოვრებელ სახლებში ცხოვრება სპეციალისტების დასკვნის შესაბამისად არ შეიძლება, ითხოვენ დახმარებას.
13. ასკანის ადმინისტრაციული ერთეული(მზიანი)-ჟუჟუნა ჯინჭარაძე-ითხოვს სოციალური დახმარების აღდგენას.
14. ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეული-თინა გუნთაიშვილი- მისცეს დამწვარი საცხოვრებელი სახლისთვის საამშენებლო მასალები, ახლა ითხოვს ფიცრებს იატაკისა და ჭერისათვის, ასევე მავთულბადეს ეზოს შემოსაღობად.
15. დვაბზუს ადმინისტრაციული ერთეული- ლია ღლონტი მოსახლეობის სახელით ითხოვს მერის წარმომადგენლის დანიშვნას, აგრეთვე, ითხოვს საგზაო ნიშნების და გადასასვლელის (ბარიერის) მოწყობას ბადის წინ.
16. ლაითურის ადმინისტრაციული ერთეული-ხათუნა ჭუმბურიძე-ითხოვს ბავშვთა ბადის შენობის გადახურვას და რემონტს.

17. კონჭკათის ადმინისტრაციული ერთეული-ნონა დოლიძე-ითხოვს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისათვის საამშენებლო მასალებით დახმარებას.
18. კონჭკათის ადმინისტრაციული ერთეული-მზიური ქარცივაძე-ითხოვს სიძველის გამო ავარიული საცხოვრებელი სახლის შეკეთებაში დახმარებას.
19. თხინვალის ადმინისტრაციული ერთეული-ალიონა ავაკიანი-ცხოვრობს მეწყერულ ზონაში, საცხოვრებელი სახლი ავარიულია, აქვს 16-ქულა, არ შეიძლება მასში ცხოვრება, მოუხსნეს სოციალური დახმარება.
20. თხინვალის ადმინისტრაციული ერთეული-ნოდარ ბაბილოძე-ითხოვს სიძველის გამო დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის შეცვლაში დახმარებას.
21. ძიმითის ადმინისტრაციული ერთეული-ზურაბ ანდღულაძე-დაეწვა საცხოვრებელი სახლი, გაუწიეს დახმარება, ითხოვს სახლის გადახურვაში დახმარებას.
22. დვაბზუს ადმინისტრაციული ერთეული-დაისი მახარაძე-ითხოვს სოფლის ცენტრში ავარიული ბამბუკის შენობის აღებას და ახალგაზრდული ცენტრის აშენებას, ასევე უბანში გზის მოხრეშვას და სანიაღვრე არხების გაწმენდას.
23. დვაბზუს ადმინისტრაციული ერთეული-ფირუზ ბარამიძე-ითხოვს სიძველის გამო დაზიანებული სახლის სახურავის შეცვლას.
24. შრომის ადმინისტრაციული ერთეული-მერი ლაგაზური-ითხოვს ყოფილი ჩაის ფაბრიკის ბინების მცხოვრებთა სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის ჭაბურღილს.
25. შრომის ადმინისტრაციული ერთეული-ოთარ ხომერიკი-ითხოვს სიძველის გამო დაზიანებული საცხოვრებელი სახლის გადახურვაში დახმარებას.
26. ქ.ოზურგეთის ადმინისტრაციული ერთეული, გურამიშვილის ქუჩა - ირაკლი პაპავა-ითხოვს ქუჩაზე არსებულ საცხოვრებელ კორპუსთან მისასვლელი გზის მოასფალტებას.
27. ნატანების ადმინისტრაციული ერთეული-მარინა გამეზარდაშვილი-ითხოვს სიძველის გამო დაზიანებული საცხოვრებელი სახლის გადახურვაში დახმარებას.
28. ნატანების ადმინისტრაციული ერთეული-თამუნა ქარდავა ითხოვს 6 წლის შვილის ოპერაციის გაკეთებისათვის თანადაფინანსებას.
29. ასკანის ადმინისტრაციული ერთეული-ცისანა გაბრიაშვილი-არ ააქვს საცხოვრებელი, ითხოვს ფართის დაქირავებას.
30. ქ.ოზურგეთის ადმინისტრაციული ერთეული, კიტა მეგრელაძის ქუჩა, მე-3 შესახვევი-რაისა სანამიანი-ითხოვს გზის რეაბილიტაციას და მდ.ნატანებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებას.
31. კონჭკათის ადმინისტრაციული ერთეული-ჯაბა გეგუჩაძე-ითხოვს სოციალურ დახმარებას.
32. სოფელ ოზურგეთის ადმინისტრაციული ერთეული-ნარგიზი ქავჭარაძე-ითხოვს სიძველით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის შეცვლაში დახმარებას.

33. სოფელ ოზურგეთის ადმინისტრაციული ერთეული-ბადრი ბერიძე-ითხოვს სახლის გადასახურავად საამშენებლო მასალებით დახმარებას.
34. მთისპირის ადმინისტრაციული ერთეული-მერი შავაძე-ჰყავს ავადმყოფი მეუღლე და ინვალიდი შვილი ითხოვს თანადაფინანსებას კორონოგრაფიისათვის.
35. მთისპირის ადმინისტრაციული ერთეული-მუჰამედ ირემაძე-ითხოვს სოციალური დახმარების დანიშვნას და არ ააქვს საცხოვრებელი სახლი.
36. სილაურის ადმინისტრაციული ერთეული-ზურაბ გოგუაძე-ითხოვს ბეტონის გზის დაგებას ყოფილი მე-5 ბრიგადის ტერიტორიაზე.
37. სილაურის ადმინისტრაციული ერთეული-ზვიად როყვა-ძეგორის უბანში ითხოვს ბეტონის გზის დაგებას.
38. ნაგომრის ადმინისტრაციული ერთეული-ზვიადი ვაშყმაძე-ითხოვს საცხოვრებელი სახლისათვის საამშენებლო მასალებით დახმარებას.
39. ვაკიჯვრის ადმინისტრაციული ერთეული-მაია მდინარაძე-ითხოვს სოფელ ფამფალეთში ბუნებრივი აირის შეყვანას და საცხოვრებელი სახლის სახურავის შეცვლაში დახმარებას.
40. ვაკიჯვრის ადმინისტრაციული ერთეული-ლეილა ტარიელიძე-საცხოვრებელი სახლი სიძველით დაენგრა, სოციალურად დაუცველია, ითხოვს საამშენებლო მასალებით დახმარებას.
41. დვაბზუს ადმინისტრაციული ერთეული-ნათელა თევზაძე-ითხოვს სახლის სახურავის შეცვლაში დახმარებას-მრავალშვილიანია.
42. დვაბზუს ადმინისტრაციული ერთეული-თინა ჭიჭყუა-ითხოვს გაღმა-დვაბზუ-ნასაკირალის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციას.
43. დვაბზუს ადმინისტრაციული ერთეული-ნაზიკო ჭელიძე- ითხოვს მის უბანში გზის მოასფალტებას.
44. ძიმითის ადმინისტრაციული ერთეული-სამსონ ანდლულაძე-ითხოვს სიძველის გამო დაზიანებული სახლის სახურავის შეცვლაში დახმარებას.
45. ძიმითის ადმინისტრაციული ერთეული-გოგი იოსელიანი-ცხოვრობს მეწყერულ ზონაში, ითხოვს სახლის საძირკველის გამაგრებაში დახმარებას.
46. ბაილეთის ადმინისტრაციული ერთეული(ახალსოფელი)-მთვარისა ბერიძე-არ დაუნიშნეს სოციალური დახმარება, საცხოვრებელი სახლი დაუზიანა სტიქიამ, ითხოვს დახმარებას საამშენებლო მასალებით.
47. ბაილეთის ადმინისტრაციული ერთეული-ნაზიბროლა ზარნაძე-ითხოვს დახმარებას სახლის სახურავის შეცვლაში.
48. მაკვანეთის ადმინისტრაციული ერთეული-ეკა დოლიძე-ითხოვს დახმარებას 6 წლის შვილის მკურნალობისათვის.
49. მაკვანეთის ადმინისტრაციული ერთეული-ომარ კალანდარიშვილი-ბავშვობიდან ავადმყოფია,მეუღლეც ავადმყოფი ჰყავს ითხოვს მედიკამენტებით დახმარებას.
50. ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეული-ნანა წითლიძე-ითხოვს თამარის ციხესთან მისასვლელი გზის გაკეთებას და შუამდგომლობას ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან.

51. ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეული-ერეკლე რუსიეშვილი-ითხოვს დახმარებას საცხოვრებელი სახლის გადასახურავად.
52. ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეული-ლაშა სალუქვაძე-ითხოვს ბაღის შენობის გადახურვას.
53. ლაითურის ადმინისტრაციული ერთეული-თემურ ავაკიანი-არის ავადმყოფი, ჰყავს ინვალიდი შვილი, მოუხსნეს სოციალური დახმარება, ითხოვს მედიკამენტებით დახმარებას.
54. ლაითურის ადმინისტრაციული ერთეული-ნონა ქარცივაძე-ითხოვს ავარიული ელექტრობოძების შეცვლას და მე-5 რაიონში გზის მოხრეშვას.
55. ნასაკირალის ადმინისტრაციული ერთეული-ნინა დუმბაძე-სოციალურად დაუცველია, საცხოვრებელი სახლი სიძველის გამო ავარიულია, ითხოვს საამშენებლო მასალებით დახმარებას.
56. ნარუჯის ადმინისტრაციული ერთეული-მარინა პაპიძე-ითხოვს სტადიონის რეაბილიტაციას, ბიბლიოთეკარის დანიშვნას და წიგნადი ფონდის შევსებას.
57. ნარუჯის ადმინისტრაციული ერთეული-ზაზა ლომიანიძე-ჰყავს ავადმყოფი დედა, მისი გულზე ოპერაციისათვის ითხოვს თანადაფინანსებას.
58. ნარუჯის ადმინისტრაციული ერთეული-ზაზა დუმბაძე-მოუხსნეს სოციალური დახმარება, ითხოვს საცხოვრებელი სახლის სახურავის შეცვლისათვის დახმარებას.
59. ლაითურის ადმინისტრაციული ერთეული-ნუგზარ მიქელაძე-ჰყავს 6 შვილი, მოუხსნეს სოციალური დახმარება, ითხოვს აღდგენას.
60. ცხემლისხიდის ადმინისტრაციული ერთეული-ავთანდილ ქილიფთარი-მოუხსნეს სოციალური დახმარება, ითხოვს დახმარებას საცხოვრებელი სახლის სახურავის შეცვლისათვის.
61. ცხემლისხიდის ადმინისტრაციული ერთეული-ტარიელ ცხომელიძე-სოციალურად დაუცველია, ითხოვს საამშენებლო მასალებით დახმარებას დაზიანებული სახლის შეკეთებისათვის.
62. ქ.ოზურგეთის ადმინისტრაციული ერთეული, ერისთავის ქ. N11-ვლადიმერ მენაბდე-ითხოვს ცალმხრივი მოძრაობის გამო საცხოვრებელ სახლთან მისასვლელად საშუთა სისტემის შემოღებას.
63. ბახვის ადმინისტრაციული ერთეული-ეროდი გორდელაძე-მოსახლეობის სახელით ითხოვს სოფელში გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) სახლ-მუზეუმის აღდგენას.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

